



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
დადგენილება №22

აბაშა, 2018 წლის 27 აპრილი

„აბაშის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღების, მათი ოდენობის განსაზღვრისა და შესაბამისი ინსტრუქციების დამტკიცების შესახებ“ აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 ივლისის №24 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულო ა დ გ ე ნ ს :

მუხლი 1.

„აბაშის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღების, მათი ოდენობის განსაზღვრისა და შესაბამისი ინსტრუქციების დამტკიცების შესახებ“ აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 ივლისის №24 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 03/08/2015, სარეგისტრაციო კოდი: 010250020,35,110,016212) შეტანილი იქნეს ცვლილება და დადგენილების პირველი მუხლის „ბ პუნქტის“ „ბ.ა.“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ. ა) დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებლის ოდენობა განისაზღვროს ერთ სულ მოსახლეზე 0,7 ლარით, ხოლო იურიდიულ პირებსა და ორგანიზაცია-დაწესებულებებზე თანდართული დანართი 6-ის შესაბამისად, 1მ³ საყოფაცხოვრებო ნარჩენებზე 10 ლარით“.

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე:

მ. კვიციანი